შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა

# შპს ქარულ- -ამერიკლი უმალესი სკოლის განვითარების სტრატეგიუ ლი და სამოქმედო გეგმა

## 2022-2029 წელი

გრძელვადიანი

**სარჩევი:**

ნაწილი 1 (შესავალი)

ნაწილი 2 (სკოლის მისია)

ნაწილი 3 (სკოლის ისტორია)

ნაწილი 4 (სკოლის შეფასება)

ნაწილი 5 (მონაცემთა ანალიზი)

ნაწილი 6 ( სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია)

ნაწილი 7 (სტრატეგიული გეგმა 2022-2029)

ნაწილი 8 (მონიტორინგი და შეფასება)

ნაწილი 9 ( სკოლის სამომავლო გეგმები)

## ნაწილი 1 . შესავალი

სტრატეგიული დაგეგმვა არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც სკოლის წევრები ცდილობენ, განსაზღვრონ თუ რა მიზნების მიღწევა სურთ და როგორ უნდა გააკეთონ ეს. დაგეგმვა იმის ზედმიწევნით მკაფიო გააზრებაა, თუ რა ნაბიჯები უნდა გადადგას სკოლამ მაქსიმალური წარმატების მისაღწევად.

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურების მოძიებით. სტრატეგილი გეგმა დეტალურად ახდენს გარე და შიდა ფაქტორების ანალიზს (სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენას) და საფრთხეებისა და შესაძლებლობების განსაზღვრას.

სკოლის გრძელვადიანი სტარატეგიული გეგმა დაეფუძნება თანამედროვე სტანდარტებსა და გამოწვევებს.ორიენტირებული იქნება მიღწეული შედეგების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ჩართული იქნება სკოლის ყველა სტრუქტურული ერთეული.

დაგეგმვაში აქტიური მონაწილეობა დაეხმარება სკოლის თითოეულ თანამშრომელს სკოლის მიზნებისა და ამოცანების გააზრებაში, არსებული რესურსების ოპტიმალურ გამოყენებაში, გარემოს ცვლილებებზე სწრაფ რეაგირებასა და სიახლისთვის მზადებაში.

სტრატეგიული გეგმის სწორად განხორციელება ხელს შეუწყობს სკოლის წარმატებულ საქმიანობას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე.

## ნაწილი 2 . სკოლის მისია

**ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის მისიაა**

აღზარდოს წიგნიერი და კრიტიკულად მოაზროვნე, შემოქმედებითი და მიზანდასახული, კომუნიკაბელური პიროვნება, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, საქართველოს ინტეგრაციას მსოფლიოში.

**სკოლის ძირითადი პრინციპებია**

ემსახუროს მოსწავლეებში თავისუფალი აზროვნების განვითარებისათვის ხელშემწყობი და უსაფრთხო გარემოს შექმნას. ცოდნის წარმატებით გადატანას და გამოყენებას განსხვავებულ სიტუაციაში. სკოლა, ოჯახთან ერთად, ზრუნავს მოსწავლის უწყვეტ განვითარებასა და განათლებაზე.

**სკოლის ძირითადი ღირებულებებია:**

- ჰუმანიზმი;

- პატრიოტიზმი;
- ტოლერანტობა;
- პასუხისმგებლობა;
- სამართლიანობა;

## ნაწილი 3. სკოლის მოკლე ისტორია

ქართულ–ამერიკული უმაღლესი სკოლა დაარსდა 2003 წელს. სკოლის დამფუძნებელი და დირექტორია ფიზიკა–მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი მამუკა მესხიშვილი.

სკოლა 2003–2008 წლებში ფუნქციონირებდა მისამართზე გურამიშვილის 17. 2008 წლის 1 სექტემბრიდან სკოლამ ფუნქციონირება გააგრძელა გიორგი ჭყონდიდელის #18–ში არსებულ თანამედროვე სტანდარტების მიხედვით მოწყობილ შენობაში, რომლის ფართია 4269.66 კვ/მ. სკოლას აკრავს 5906 $მ^2$ წიწვოვანი ტყე–პარკი.

ქართულ–ამერიკული უმაღლესი სკოლა თავის საქმიანობას წარმართავს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, ,,ზოგადი განათლების შესახებ " საქართველოს კანონითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

სკოლა დამოუკიდებლად ახორციელებს საგანმანათლებლო საქმიანობას და უზრუნველყოფს ზოგადი განათლების მიღებას დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე ეროვნული სასწავლო გეგმისა და სკოლის მისიის შესაბამისად.

სკოლა აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკით, სამედიცინო კაბინეტით, კვების ბლოკით, ღია და დახურული სპორტული მოედნებით, თეატრალური და საკონფერენციო დარბაზებით. მოსწავლეები უზრუნველყოფილი არიან უსაფრთხო გარემოთი და სატრანსპორტო მომსახურებით.

ქართულ–ამერიკული უმაღლესი სკოლის მასწავლებელთა გუნდი მომავალ თაობას აძლევს ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებულ მსოფლიო სტანდარტების შესაბამის განათლებას. ჩვენი სკოლის მოსწავლეები არაერთ წარმატებას აღწევენ ქვეყნის შიგნით და გარეთ, საერთაშორისო კონფერენციებსა და ოლიმპიადებზე.

## ნაწილი 4. სკოლის შეფასება

სტრატეგიული გეგმა მოიცავს 2022-2029 წლებს. ამ ეტაპზე სკოლას დასრულებული აქვს 2016-2022 წლის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტიობების შესრულება. კერძოდ :დასრულდა სკოლის ძირითადი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა (სკოლის ძირითადი და დამხმარე შენობა-ნაგებობები,საკლასო ინვენტარი,სააქტო და საკონფერენციო დარბაზები, კლასკაბინეტები/ლაბორატორიები,ბუფეტი და სხვა)

მატერიალური ბაზის შექმნის პარალელურად სტრატეგიული გეგმით დადგენილი სასწავლო და სააღმზრდელო მუშაობა მიმდინარეობდა ესგ - სა და სსგ სტანდარტებისა და საქართველოს მთავრობის დადგენილებების შესაბამისად.

# წინა წლების




# ანალიზები

# 2017-2018 წწ

## სკოლის SWOT-ანალიზი

| ძლიერი მხარე | შესაძლებლობები |
|---|---|
| 1.სკოლის იმიჯი<br>2.თანამშრომელთა კომპეტენტურობა<br>3. გამართული საორგანიზაციო სტრუქტურა<br>4. სქემაში ჩართული პედაგოგების რაოდენობა<br>5.საკადრო მენეჯმენტი<br>6. სერთიფიცირებული პედაგოგების რაოდენობა<br>7.ინტერნეტ რესურსების ხელმისაწვდომობა<br>8. საფინანსო და საინფორმაციო რესურსები<br>9. მოსწავლეთა მოტივაციის ხელშემწყობი გარემო.<br>10. მოსწავლეთა არაფორმალური განათლების ხელშეწყობა<br>11. წარმატებები ეროვნულ და საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში<br>12. საერთაშორისო კავშირები<br>13. უმაღლესში ჩარიცხვის მაჩვენებელი<br>14. შიდასასკოლო საგრანტო სისტემა<br>15. საშეღავათო სისტემა<br>16. 12 წლიანი ხელშეკრულებები მშობლებთან<br>17. მატერიალურ-ტექნიკური ბაზა<br>18.ეკოლოგიურად სუფთა გარემო<br>19.თანამშრომელთა კვებით უზრუნველყოფა<br>20.სკოლის განვითარებისთვის გაწეული ხარჯები<br>21. ელექტრონული ჟურნალი | 1. საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების ეტაპობრივი შეძენა.<br>2. ეტაპობრივად ინვენტარის ცვლილება/განახლება<br>3. პედაგოგების კარიერული წინსვლის ხელშეწყობა , იმ აქტივობებისა და ინიციატივების წახალისება , რომლებიც სქემის ფარგლებში საფეხურის ამაღლებას შეუწყობს ხელს.<br>4. კვალიფიციური კადრების მოზიდვა, არსებული საშტატო განაკვეთის შემცირება.<br>6. საინფორმაციო შეხვედრების გამართვა და მშობელთა ჩართვა სასწავლო პროექტების დაგეგმვა-განხორციელებაში. |
| **გასაუმჯობესებელი მხარე** | **მოსალოდნელი საფრთხეები** |
| 1.საკუთარი სატრანსპორტო საშუალებები<br>2.მენტორ მასწავლებელთა რაოდენობა<br>3.წამყვან მასწავლებელთა რაოდენობა<br>4.სტაჟირებაზე გაშვებული პედაგოგების რაოდენობა<br>5. უცხოენოვანი პედაგოგიური კადრი<br>6. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები<br>7.საბაზო და საშუალო საფეხურის მშობლების არასაკმარისი ჩართულობა სასკოლო აქტივობებში | 1. შესაძლებელია საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა დროში ხანგრძლივად გაწერილი აღმოჩნდეს.<br>2. მასწავლებელთა გარკვეული ჯგუფის გულგრილი ან არასაიმედო დამოკიდებულება სქემისადმი.<br>3. დასასაქმებელი კვალიფიკაციური კადრების სიმცირე<br>4. მშობლების მხრიდან დროის დეფიციტი |

# 2018-2019 წწ

| ძლიერი მხარე | შესაძლებლობები | გასაუმჯობესებელი მხარე | საფრთხეები |
|---|---|---|---|
| პროფესიონალი პედაგოგები<br>ორგანიზაციული სტრუქტურა;<br>პედაგოგთა პრემიებით და მოსწავლეთა გრანტებით წახალისების სისტემა;<br>სერთიფიცირებული პედაგოგები;<br>სქემაში ჩართული პედაგოგების რაოდენობა;<br>ინტერნეტ რესურსების ხელმისაწვდომობა;<br>მოტივირებული მოსწავლეები;<br>სტანდარტს ზემოთ განათლების ხელშეწყობა;<br>წარმატებები შიდა , კერძო, საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში;<br>საერთაშორისო პროექტების პარტნიორობა;<br>სწავლების საშეღავათო სისტემა;<br>თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;<br>მოქნილი და საიმედო სახელმძღვანელოები სისტემა; | ქვეყნის გარეთ სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით, მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა;<br><br>ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობითი მემორანდუმების გაფორმება.<br><br>მასწავლებელთა პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა; სტატუსების გაუმჯობესება (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა)<br><br>მაღალი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსის მოზიდვა<br><br>მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასწავლო, კლასგარეშე პროექტებსა და აქტივობებში;<br><br>ტესტირების ახალი ელექტრონული პროგრამა „My Test"; | ელექტრონული ჟურნალის School Book -ის წარმოება<br><br>კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, სტაჟირებაზე პედაგოგთა ჩართულობა;<br><br>წამყვანი,მენტორი მასწავლებელთა რაოდენობა;<br><br>შემაჯამებელი სამუშაოს სტატისიკურ ფორმატში ანალიზი. | მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებში ჩართვის დროში გაწელვა;<br><br>სხვადასხვა სახის ეკონომიკური გარემოებები.<br><br>მშობლების პირად საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა.<br><br>პროფესიონალი ადამიანური რესურსის სიმცირე;<br><br>მასწავლებლებთა პროფესიული განვითარების სქემაში შესული სიახლეების დანერგვა. მისი საჭიროების გააზრება მასწავლებლების მხრიდან. |

# 2019-2020 წწ

| ძლიერი მხარე | შესაძლებლობები |
|---|---|
| სკოლის მაღალი ცნობადობა;<br>კვალიფიციური პედაგოგთა ჯგუფი;<br>ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა;<br>სერტიფიცირებული პედაგოგები;<br>სქემაში ჩართული პედაგოგების ძირითადი რაოდენობა;<br>პედაგოგთა პრემიებით და მოსწავლეთა გრანტებით წახალისების სისტემა;<br>სწავლების საშუალებათა სისტემა;<br>სკოლის განვითარებისათვის შესაბამისი ფინანსური აქტივები;<br>ინტერნეტ რესურსების ხელმისაწვდომობა;<br>მოტივირებული მოსწავლეები;<br>სტანდარტს ზემოთ განათლების ხელშეწყობა;<br>მათემატიკისა და უცხო ენის მიმართულებით;<br>წარმატებები შიდა , კერძო, საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში;<br>საერთაშორისო პროექტების პარტნიორობა;<br>თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;<br>მშობლების მოლოდინი გამართლებულია, მოსწავლის განათლების მიღებასთან დაკავშირებით;<br>უსაფრთხო გარემო;<br>სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა;<br>სასკოლო დიპლომის მაღალი დონე;<br>კვების ბლოკი;<br>სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ელემენტის (დირექცია, კლასის დამრიგებლები, ფსიქოლოგიური სამსახური) მუშაობის ეფექტურობა.<br>დაწყებითი საბაზო და საშუალო საფეხურის გადანაწილება სკოლის სხვადასხვა შენობაში | ქვეყნის გარეთ სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით, მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა;<br>ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო ოლიმპიადაში (IJSO ) ჩართულობის გაზრდა<br>ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობითი მემორანდუმების გაფორმება.<br>მასწავლებელთა პროფესიული წინსვლის ხელშეწყობა; სტატუსების გაუმჯობესება (მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა);<br>არაფორმალური განათლების ხელშეწყობა<br>მშობელთა ჩართულობის გაზრდა სასკოლო ღონისძიებებში |
| **გასაუმჯობესებელი მხარე** | **მოსალოდნელი საფრთხეები** |
| ელექტრონული ჟურნალის School Book -ის წარმოება; მშობლების მხრიდან ინტერაქციის გაზრდა<br>კვალიფიკაციის ამაღლებელ კურსებზე, სტაჟირებაზე პედაგოგთა/თანამშრომელთა ჩართულობა;<br>წამყვანი, მენტორი მასწავლებელთა რაოდენობა;<br>სწავლება/სწავლის პროცესში შეფასების სქემები, რუბრიკები;<br>საბაზო-საშუალო საფეხურის შენობის კონდიციონერით აღჭურვა.<br>ბიბლიოთეკის უფრო მეტად გამდიდრება, პედაგოგთა მეთოდური, დამატებითი სახელმძღვანელოებით;<br>სადამრიგებლო საათი;<br>საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის შესაბამისი რეაქტივებით აღჭურვა და მეტი პრაქტიკული-ლაბორატორიული სამუშაოების დაგეგმვა. | მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებში ჩართვის დროში გაწელვა;<br><br>ეკონომიკური ცვლილებები.<br><br>მშობლების დროის დეფიციტი;<br><br>კვალიფიკაციური ადამიანური რესურსის სიმცირე/გადინება<br><br>მასწავლებელთა სკეპტიკური დამოკიდებულება სქემისადმი. |

# 2020-2021 წწ

| **ძლიერი მხარე** | **შესაძლებლობები** |
|---|---|
| სკოლის მაღალი ცნობადობა;<br><br>კვალიფიციური პედაგოგთა ჯგუფი;<br>ჩამოყალიბებული ორგანიზაციული სტრუქტურა;<br><br>სერტიფიცირებული პედაგოგები;<br>სქემაში ჩართული პედაგოგების ძირითადი რაოდენობა;<br><br>პედაგოგთა პრემიებით და მოსწავლეთა გრანტებით წახალისების სისტემა/უცხური ენების კურსების დაფინანსება;<br><br>სწავლების საშეფასებათო სისტემა;<br><br>სკოლის განვითარებისათვის შესაბამისი ფინანსური აქტივები;<br><br>ინტერნეტ რესურსების ხელმისაწვდომობა;<br><br>მოტივირებული მოსწავლეები;<br><br>სტანდარტს ზემოთ განათლების ხელშეწყობა;<br><br>წარმატებები შიდა , კერძო, საერთაშორისო ოლიმპიადებსა და კონფერენციებში;<br><br>საერთაშორისო პროექტების პარტნიორობა;<br><br>თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური | გერმანიაში, გაცვლითი პროგრამებში მოსწავლეთა ჩართვის უზრუნველყოფა;<br><br>ახალგაზრდა საბუნებისმეტყველო მეცნიერთა საერთაშორისო ოლიმპიადაში (IJSO ) მონაწილეთა რაოდენობის გაზრდა (გუნდი)<br><br>I-FEST - ინჟინერიის, მეცნიერების და ტექნლოგიების საერთაშორისო საერთაშორისო ფესტივალისათვის მოსწავლეების ჩართვის უზნველყოფა.<br><br>OKSEF- მეცნიერებისა და ინჟინერიის საერთაშორისო გამოფენაზე მონაწილების მიღება.<br><br>ვირტუალური საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ეტაპობრივი დანერგვა- პირველი ეტაპი ბიოლოგია.<br><br>რობოტიკის აკადემიასთან ხემეკრულების გაფორმება.<br><br>პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმება.<br><br>ელექტრონული ბიბლიოთეკის პროგრამის შესწყიდვა.<br><br>არაფორმალური განათლების ხელშეწყობა. |

| **გასაუმჯობესებელი მხარე** | **მოსალოდნელი საფრთხეები** |
|---|---|
| მოსწავლეთა საჭიროებაზე მორგებული დამატებითი ლიტერატურის, შესაბამისი რესურსების მოძიება და გამოყენება საგაკვეთილო პროცესში.<br><br>სპორტულ-გამაჯანსარებელი აქტივობები/ღონისძიებების მოსწავლეთა და მშობელტა ჩართულობის გაზრდა.<br><br>პროექტებში და პროექტ გაკვეთილებში მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა<br><br>შემეცნებითი კლასგარეშე ღონისძიებების დაგეგმვა საბაზო საშუალო საფეხურზე.<br><br>განახლებულ ფორმატის ელექტრონულ ჟურნალში School Book -ში მშობლებისათვის ეფექტური განმავითარებელი კომენტარების მიწოდება.<br><br>კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, სტაჟირებაზე პედაგოგთა/თანამშრომელთა ჩართულობა- დაფინანსება;<br><br>წამყვანი, მენტორი მასწავლებელთა რაოდენობა;<br><br>საბაზო და საშუალო საფეხრუზე ბიბლიოთეკირის/თანამეწის ჩართულობის გაზრდა სასწავლო პროექტებში და კლასგარეშე აქტივობებში<br><br>ელექტრონული ბიბლიოთეკის დანერგვის ორგანიზება/უზრუნველყოფა<br><br>სადამრიგებლო საათი დაწყებითი 4-6 კლასების საბაზო და საშუალო საფეხურზე; | მოსწავლეთა გაცვლით პროგრამაში ჩართვის დროში გაწელვა.<br><br>ეკონომიკური ცვლილებები.<br><br>კვალიფიციური ადამიანური რესურსის სიმცირე/გადინება;<br><br>კერძო სექტორში კონკურენციის ზრდა.<br><br>ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის ( 1-6 კლასი) დანერგვის პროცესში პირველადი სირთულეების არსებობა/შექმნა. |

# 2021-2022 წწ

## ნაწილი 5. მონაცემთა ანალიზი/სიტუაციის ანალიზი

შესაძლებელია ითქვას , რომ 2016-2022 წლის სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნები მიღწეულია. (გამონაკლისს წარმოადგენს საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების ორგანიზება რაც აისახება ახალ გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმაში).

| N | მიმართულებები | საანგარიშო პერიოდი (წლები) | |
|---|---|---|---|
| | | 2016 - 2022 | კომენტარი |
| 1. | პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება | **შეფასება** | |
| 1.1 | პედაგოგთა საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბება | შესრულდა/გაგრძელდება | პედაგოგთა საჭიროებების დადგენისა და პროფესიული განვითარების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით ხდებოდა მასწავლებლების საჭიროებების რაოდენობრივი კვლევა/ანალიზი, ასევე კათედრების ანგარიშების გაანალიზება . აღნიშნულმა საშუალებას მოგვცა დაგვედინა და მიზნობრივად დაგვეგეგმა თითოეულ პედაგოგის პროფესიული |

| | | | |
|---|---|---|---|
| | | | განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები. კერძოდ: პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში დაიგეგმა და განხორციელდა, როგორც ძირითადი-სავალდებულო, ისე დამატებითი აქტივობები. გამოცდილების გაზიარების მიზნით ერთობლივად დაიგეგმა გაკვეთილები. შეიქმნა სასწავლოომ რესურსების ბანკი კათედრების მიხედვით. |
| 1.2 | ბიბლიოთეკის გამდიდრება პროფესიული გამოცემებით | შესრულდა/გაგრძელდება | წლის დასაწყისში და პერმანენტულად ხდებოდა ბიბლიოთეკის გამდიდრება პროფესიული /მეთოდური ლიტერატურით/გამოცემებით, ინტერნეტ რესურსით. სახელმძღვანელოების/რესურსების შეირჩევა კათედრების საჭიროების გათვალისწინებით ხდებოდა. |
| 1.3 | სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა საქმიანობების ხელშეწყობა | შესრულდა/გაგრძელდება | პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლა ხელს უწყობს პედაგოგებს დროისა და სასწავლო რეჟიმის გათვალისწინებით მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგამებში, საერთაშორისო პროექტებსა და ტრენინგებში.სკოლა ზრუნავს პედაგოგთა აკადემიურ თავისუფლებაზე, პროფესიულ განვითარებაზე. სისტემატურად ტარდება საგნობრივი კათედრების ერთობლივი სამუშაო შეხვედრები, სადაც ხდება სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილების ერთობლივად დაგეგმვა, გამოცდილების გაზიარება, იგეგმება ერთობლივი პროექტები უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.4 | პედაგოგებში კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა | შესრულდა/გაგრძელდება | პედაგოგებში კვლევითი საქმიანობის (პრაქტიკის კვლევა, სკოლის საჭიროების კვლევა) ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივ ბაზაზე ,სასწავლო წლის განმავლობაში, ხარისხის მართვის ჯგუფისა და შეფასების ჯგუფის წევრების ხელმძღვანელობით იმართებოდა შიდასასკოლო სემინარები და კონსულტაციები. |
| 1.5 | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებასთან პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარება | შესრულდა/გაგრძელდება | პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით , შპს ქართულ ამერიკული უმაღლეს, შპს ქართულ ამერიკული.Georgian-American School-სა და ბათუმის ქართულ-ამერიკულ სკოლებს შორის დაიგეგმა და განხორციელდა ერთობლივი ღონისძიებები, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო მასშტაბით ; |
| 2. | მოსწავლეებში სწავლება/სწავლის ხარისხის ამაღლება | | |
| 2.1 | მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე საგნობრივი პროგრამებისა და სასწავლო გეგმების შემუშავება/დახვეწა | შესრულდა/გაგრძელდება | სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთა გამოკითხვის, მათი შედეგების, ასევე კათედრების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე ხდებოდა საგნობრივი პროგრამებისა და სასწავლო გეგმების, სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება/დახვეწა. |
| 2.2 | მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება და მათი მიღწევების გაუმჯობესება | შესრულდა/გაგრძელდება | მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით სასწავლო პროცესში მოიმატა სახალისო აქტივობებმა. აკადემიურ ნაწილთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა არაფორმალურ განათლებას. |
| 2.3 | მოსწავლეებში ჯანსაღი | შესრულდა/გაგრძელდება | მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ცხოვრების წესის დამკვიდრება და დამატებითი განათლების უზრუნველყოფა | | მიზნით წლის განმავლობაში ჩატარდა პროექტ გაკვეთილები, ლექცია სემინარები სკოლის სამედიცინო სამსახურის- ექიმ-პედიატრის მიერ, ასევე ანტინიკოტინური, ანტიალკოჰოლური, ანტინარკოტიკული ღონისძიებები მოწვეული სპეციალისტების ჩართულობით. |
| 2.4 | სკოლის მოსწავლეების მონაწილეობა ქვეყნის შიდა და ქვეყნის გარეთ კონფერენციებსა ,ოლიმპიადებსა და შემოქმედებით ღონისძიებებში; | შესრულდა/გაგრძელდება | მოსწავლეებმა აქტიურად მიირეს მონაწილეობა შიდა სასკოლო და რესპუბლიკურ კონფერენციებსა და ოლიმპიადებში ,ასევე შემოქმედებით და საქველმოქმედო ღონისძიებებში . წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ სკოლის მიერ დაწესებული სასწავლო გრანტებით. გაიმართა მოსწავლეთა შემოქმედების, სახელოვნო ნამუშევრების გამოფენები, ჩატარდა ღია კარის დღე, საჩვენებელი ღონისძიებები, რომლებსაც დაესწრნენ მშობლები და მოწვეული სტუმრები. |
| 2.5 | მოსწავლეთა მიღწევების კვლევა და მათი მონაცემთა ბაზის შექმნა | მიმდინარეობს პროცესი | მიმდინარეობს მოსწავლეთა მიღწევების კვლევა და მათი მონაცემთა ბაზის შექმნა. |
| 2.6 | სკოლის ბიბლიოთეკის ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობა | შესრულდა/გაგრძელდება | სკოლის ბიბლიოთეკარის და დამრიგებლების სამოქმედო გეგმებში გაიწერა ბიბლიოთეკის ეფექტურად ფუნქციონირების ხელშემწყობი აქტივობები. |
| 2.7 | მოსწავლეებში ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ტოლერანტობის, პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის პრინციპების განმტკიცების ხელშეწყობა. | შესრულდა/გაგრძელდება | მოსწავლეებში ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ტოლერანტობის, გარემოს დაცვის საკითხებისა და პრინციპების განმტკიცების მიზნით ჩატარდა პროექტ გაკვეთილები, ღონისძიებები (იხ. კათედრის ანგარიშები და სკოლის ვებგვერდი) სადამრიგებლო საათის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნითა და სკოლის მისიით გათვალისწინებული ღირებულებების განმტკიცებას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 3. | მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია | | |
| 3.1 | სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა | შესრულდა/გაგრძელდება | 2011 წლიდან დაიწყო და გრძელდება სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა.სკოლა მუდმივად არის ჩართული ახალი მიდგომებისა და იდეების ძიებისა და დანერგვის პროცესში. მუდმივი თვითშეფასება, ცვლილებები და ინოვაციები კი მნიშვნელოვანია სკოლის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. |
| 3.3 | სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა | შესრულდა/გაგრძელდება | გაგრძელდება სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. სკოლაში იქნება დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას, ასევე სკოლაში პასუხისმგებლობის გადანაწილებას. |
| 3.4 | ელექტრონული ჟურნალის დანერგვა | შესრულდა | მოსწავლეთა მშობლების ყოველდღიური , როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებებით ინფორმირებისათვის, სასწავლო პროცესის მეტი გამჭირვალეობისათვის, 2016 წლიდან სკოლა იყენებს და კვლავ აგრძელებს სკოლის ელექტრონული ჟურნალის School book-ის წარმოებას. |
| 3.4 | სკოლის სარეკლამო საქმიანობების უზრუნველყოფა | შესრულდა/გაგრძელდება | სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებისათვის სისტემატიურად ახლდება ინფორმაცია სკოლის ორენოვან ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელში -FACEBOOK-ზე, სკოლის საქმიანობა ეტაპობრივად შუქდება სატელევიზიო არხებით და საგანმანათლებლო გვერდებით. აღნიშნული ემსახურება სკოლის სარეკლამო საქმიანობას. |

| | | | |
|---|---|---|---|
| 4. | მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა | | |
| 4.1 | სკოლის ტექნიკური ბაზის განახლება-გაუმჯობესება საქართველოს განათლების სიტემისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად; | შესრულდა/გაგრძელდება | სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და განვითარების მიზნით ეტაპობრივად ხდება სკოლის ინვენტარის აღწერა და შესაბამისი დოკუმენტების შედგენა. განახლდა ინფრასტრუქტურა თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკას დაემატა ახალი სახელმძღვანელოები,საგნობრივი მიმართულებით თვალსაჩინოებები, განახლდა სასკოლო სასადილოს ინვენტარი, სკოლამ დამატებით შეიძინა პროექტორები და პერსონალურ კომპიუტერები. საბაზო /საშუალო საფეხურზე დაემატა მეორე ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია. სამედიცინო კაბინეტი დამატებით აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით. |
| 4.2 | სკოლის საკუთარი სატრანსპორტო საშუალებებით აღჭურვა | ვერ შესრულდა | სკოლას ხელშეკრულებით ემსახურება სატრანსპორტო კომპანია, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა უსაფრთხო გადაადგილებას. სკოლას კვლავ სამომავლო გეგმაში განსახორციელებლად რჩება საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების შეძენა. |

## ნაწილი 6. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

**შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის სტრატეგიული გეგმის შემუშავების მოსამზადებელი ეტაპი შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს:**

- სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი.
- სიტუაციის შიდა და გარე შეფასებების საფუძველზე სკოლის დირექცია, გააკეთებს სიტუაციის SWOT ანალიზს.
- განსაზღვრავს განვითარების პრიორიტეტებსა და მათი განხორციელების ოპტიმალურ გზებს.

შესაძლებებლია პრიორიტეტების ვრცელი სია მივიღოთ, საიდანაც სკოლისათვის მნიშვნელოვანი რამდენიმე პრიორიტეტი შეირჩევა. სწორედ მათი ერთობლიობა გახდება ჩარჩო სტრატეგიის, გრძელვადიანი მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრისთვის.

პრიორიტეტების ანალიზის დროს საჭიროა ვიმსჯელოთ შემდეგი სახით:

- რა შეიძლება მოჰყვეს კონკრეტული პრობლემის გაუთვალისწინებლობას უახლოეს მომავალში?
- რატომ სჭირდება კონკრეტულ პრობლემას მყისიერი რეაგირება?

- პრიორიტეტული მიზნების მისაღწევად სკოლის მიერ მიმდინარე წელს განსახორციელებელი ამოცანების, ღონისძიებების ნუსხა შემუშავდება.

- <u>სკოლის სტრატეგია გაეცნობა მასწავლებლებს ,დაგეგმილი ღონისძებები გაეცნობა მშობლებს და მათი მოსაზრებების გათვალისწინებით გეგმაში შევა კორექტივები.</u>

**პროცესის აღწერა:**

ინფორმაციის ანალიზისთვის გამოყენებული იქნება სკოლაში არსებული საგნობრივი კათედრების წლიური ანგარიშები, მოხდება მომხმარებლების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესწავლა - შეფასება.

სკოლის მასწავლებლებისა და მოსწავლეთა მშობლების რაოდენობრივი კვლევა (გამოკითხვა / ანკეტირება).

**კვლევის მიზანი:**

- სასწავლო წლის განმავლობაში დანერგილი სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება;
- არსებული პრობლემების იდენტიფიცირება;
- სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის მუშაობის ეფექტურობის გამოვლენა;
- მომდევნო სასწავლო წლის პერიოდში სასწავლო გეგმის გაუმჯობესების გზების შემუშავება/დასახვა;
- მომდევნო სასწავლო წლის სწავლა/სწავლების პროცესის უკეთ დაგეგმვა და წარმართვა;
- კვლევაში მონაწილეთა ძირითადი საჭიროებებისა და მათი მოლოდინის განსაზღვრა სკოლის მიერ გაწეული მომსახურებიდან

- სასწავლო წლის ბოლოს, სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი შედეგად ცვლილებები ან დამატებები შევა სკოლის გრძელვადიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

## ნაწილი 7.
## 2022-2029 წლების სამოქმედო გეგმის მიმართულებები

იმისათვის, რომ სკოლამ უპასუხოს არსებულ გამოწვევებს, გაზარდოს მომსახურების ხარისხი, მომხმარებელთა კმაყოფილების დონე და საკუთარი საქმიანობის ეფექტურობა , შესაძლებლობებისა და საქმიანი გარემოს შესწავლის (SWOT ანალიზი), მისიისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება/მოვალეობების ფარგლებში დაგეგმილი აქვს 2022-2029 წლებში იმუშაოს შემდეგი სტრატეგიული მიმართულებით:

- პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული განვითარება
- საერთაშორისო შედეგებზე ორიენტირების გაზრდა
- სწავლება/ სწავლის ხარისხის ამაღლება
- თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება
- მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია
- სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება

- უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა

| | გრძელვადიანი 2022-2029 წლების სტრატეგიული გეგმა | | | საანგარიშო პერიოდი- წლები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| N | მიმართულებები | პასუხისმგებელი პირები | ინდიკატორი/ მტკიცებულება | 2022/ 2023 | 2023 2024 | 2024 2025 | 2025/ 2026 | 2026 2027 | 2027/ 2028 | 2028/ 2029 |
| | | | | | | | | | | |
| 1. 1 | პედაგოგთა საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირება. | სკოლის დირექტორი ხარისხის მართვის ჯგუფი | კათედრის ანგარიშები; მართვის საინფორმაციო სისტემა; | | | | | | | |
| 1. 2 | ბიბლიოთეკის გამდიდრება პროფესიული | სკოლის დირექტორი დირექტორის | სახელმძღვანელოები; ნასყიდობის დამადასტურებელი | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | /მეთოდური ლიტერატურით/გამ ოცემებით, ინტერნეტ რესურსით/წყაროთი უზრუნველყოფა. | მოადგილე ბიბლიოთეკარი კათედრის ხელმძღვანელები | დოკუმენტაცია; ინტერნეტ - რესურსების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. | | | | | | | |
| 1. 3 | სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა პროგრამებში, პროექტებსა და ტრენინგებში მონაწილეობის ხელშეწყობა . | სკოლის დირექტორი დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის ჯგუფი შიდა შეფასების ჯგუფი | სკოლის სამოქმედო გეგმა; პროგრამებში, ტრენინგებსა და პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ცნობა, რეფლექსია | | | | | | | |
| 1. 4 | პედაგოგებში კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (პრაქტიკის კვლევა, სკოლის საჭიროების კვლევა) | სკოლის დირექტორი დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის ჯგუფი შიდა შეფასების ჯგუფი | კათედრის ანგარიშები; კვლევის ანგარიშები/ კვლევის გაზიარების რეფლექსია. | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.5 | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარება; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობითი მემორანდუმების გაფორმება. | სკოლის დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე<br>ხარისხის მართვის ჯგუფი<br>პედაგოგიური საჭოს წევრები | თანამშრომლობითი მემორანდუმები; ერთობლივად განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია. სკოლის ვებგვერდი/სკოლის სოციალური ქსელი | | | | | | | |
| 1.6 | სკოლის პედაგოგიური პერსონალის მართვის არსებული პრაქტიკის გაუმჯობესება და ეფექტიანობის ამაღლება | სკოლის დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე<br>ხარისხის მართვის ჯგუფი<br>კათედრის ხელმძღვანელები | პედ. პერსონალის არჩევის/ დანიშვნის პროცედურები განხორციელებულია კანონის შესაბამისად და სკოლის რეგულაციების დაცვით; პერსონალის | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | საქმიანობის შეფასება ყოველწლიურად ,პროფესიული სქემის ფარგლებში განხორციელებულია და ასახულია ანგარიშებში; უკუკავშირი და შეფასების შედეგებზე რეაგირება განხორციელებულია; (შეფასების ოქმები) | | | | | | | |
| 1.7 | ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების მექანიზმების სრულყოფა. | სკოლის დირექტორი დირექტორის მოადგილე ხარისხის მართვის ჯგუფი | ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების სქემა. | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| 2.1 | ქვეყნის გარეთ სხვადასხვა პროგრამების მეშვეობით, მოსწავლეთა გაცვლით პროგრამებში ჩართვის უზრუნველყოფა . | საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები/წევრები<br>დირექტორი<br>ხარისხის მართვის ჯგუფი | განხორციელებული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. | | | | | | | |
| 2.2 | უცხოური ენების სხვადასხვა კურსებზე წარჩინებული მოსწავლეების გაგზავნა. (თანამშრომლობის , პარტნიორობის საფუძველზე) | საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები/წევრები<br>დირექტორი<br>ხარისხის მართვის ჯგუფი | მოსწავლეთა შერჩევის კრიტერიუმები. შერჩეულ მოსწავლეთა სია. განხორციელებული აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. | | | | | | | |
| 2.3 | საერთაშორისო კონფერენციებში, | საგნობრივი კათედრის | მონაწილეობის დამდასტურებელი | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროექტებსა და ოლიმპიადებში მონაწილეობა | ხელმძღვანელები/წევრები<br>დირექტორი<br>ხარისხის მართვის ჯგუფი | ფოტო, ვიდეო მასალა.<br>სერტიფიკატები. | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| 3.1 | პროგრამებისა და სასწავლო გეგმების, სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება/დახვეწა. | პედაგოგიური საბჭოს წევრები<br>საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები | საგნობრივი პროგრამები/სასწავლო გეგმები<br>სადამრიგებლო პროგრამები<br>კათედრის ანგარიშები | | | | | | | |
| 3.2 | მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება , განვითარების | პედაგოგიური საბჭოს წევრები<br>საგნობრივი კათედრის | შედეგების ანალიზი, ანგარიში<br>შემაჯამებელი დავალებების ანალიზი | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დინამიკის დადგენა, თანმდევი დამატებითი კონსულტაციების განხორციელება და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება. | ხელმძღვანელები | | | | | | | | |
| 3.3 | მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება და დამატებითი და არაფორმალური განათლების უზრუნველყოფა . | საგნობრივი კათედრები<br>დამრიგებლები<br>სკოლის ექიმი-პედიატრი<br>სკოლის ფსიქოლოგი | სადამრიგებლო პროგრამები<br>სკოლის პედიატრის სამოქმედო გეგმა<br>დამრიგებლის ანგარიშები<br>განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ ანგარიშები | | | | | | | |
| 3.4 | საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმების შემუშავება და დამტკიცება. | საგნობრივი კათედრები<br>სკოლის დირექტორი<br>დირექტორის ამოადგილე | შემუშავებული სამოქმედო გეგმები | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ხარისხის მართვის ჯგუფი | | | | | | | | |
| 3.5 | სკოლის მოსწავლეების მონაწილეობა შიდა სასკოლო, რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში , შემოქმედებით ღონისძიებებში. | სკოლის დირექტორი დირექტორის მოადგილე საგნობრივი კათედრები | მონაწილეობისა და შედეგების ამსახველი მონაცემები, მათი ანალიზი. | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.6 | სკოლის ბიბლიოთეკის ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობა. | სკოლის დირექტორის მოადგილე საგნობრივი კათედრები ბიბლიოთეკარი | მკითხველის ფორმულარები ბიბლიოთეკარის წლიური გეგმა/ანგარიში. | | | | | | | |
| 3.7 | მოსწავლეებში ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ტოლერანტობის, გარემოს დაცვის საკითხების ცნობიერების ამაღლება. | პედაგოგიური საბჭოს წევრები დამრიგებლები | სადამრიგებლო პროგრამები განხორციელებულ ი პროექტების ანგარიშები. | | | | | | | |
| 3.8 | მოსწავლეთა მიღწევების კვლევა და მათი მონაცემთა ბაზის შექმნა | სკოლის დირექტორი ხარისხის მართვის ჯგუფი საგნობრივი კათედრები | მიღწევების ანალიზი/ბაზა | | | | | | | |
| 3.9 | მოსწავლეებისთვის ხელშეწყობა პროფესიული | სკოლის დირექტორი ხარისხის მართვის | პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ორიენტაციის მიმართულებით | ჯგუფი | დაგეგმვის პროგრამა/განხორციელებული აქტივობები | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| 4.1 | საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია (ინტეგრირებული სწავლება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით) | ხარისხის მართვის ჯგუფი<br><br>საგნობრივი კათედრები | გაკვეთილის გეგმები; რეფლექსიები ფოტო/ვიდეო მასალა | | | | | | | |
| 4.2 | STEM -ის საგნებში თანამედროვე ვირტუალური და ნახევრად ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება. | აიტი მენეჯერი საგნობრივი კათედრები | ვირტუალური ლაბორატორიის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ჩატარებული მუშობის ანგარიში | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.1 | სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა | სკოლის დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე<br>ხარისხის მართვის ჯგუფი<br>ადმინისტრაციული მენეჯერი<br>ბუღალტერი | რაოდენობრივი/თვისებრივი მეთოდიკის გამოყენებით კვლევა<br>SWOT ანალიზი | | | | | | | |
| 5.2 | სასკოლო სასწავლო გეგმის მიზნების განხორციელება შეფასება<br>და გაუმჯობესება | სკოლის დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე<br>ხარისხის მართვის ჯგუფი<br>კათედრის ხელმძღვანელები | რაოდენობრივი/თვისებრივი მეთოდიკის გამოყენებით კვლევა<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმა | | | | | | | |
| 5.3 | სკოლასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ინფორმაციის | სკოლის დირექტორი, ადმინისტრაციული მენეჯერი | სკოლის ელექტრონული არქივი | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ელექტრონული ვერსიების შექმნა და დაარქივება | | | | | | | | | |
| 5.4 | ფინანსური არქივის კომპიუტერიზაცია. თვიური, კვარტალური და წლიური ბალანსის ელექტრონული ვერსიების შექმნა. | ბუღალტერი | ფინანსური არქივის თვიური, კვარტალური და წლიური ბალანსის ელექტრონული ვერსიები. | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5.5 | სკოლის ორენოვან ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელზე - FACEBOOK-ზე ინფორმაციის სისტემატიური განახლება | ადმინისტრაციული მენეჯერი<br>ისტ-ის მასწავლებელი | სკოლის ვებ გვერდი<br>სკოლის ფეისბუქ გვერდი | | | | | | | |
| 5.6 | სკოლის ელექტრონული ჟურნალის წარმოება School book | პედაგოგიური საბჭოს წევრები<br>დამრიგებლები | ხელშეკრულება ელექტრონული ჟურნალის ( School book) მომწოდებელ კომპანიასთან.<br>სკოლის ელ. ჟურნალი | | | | | | | |
| 5.7 | სკოლის კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა | დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე<br>პედაგოგიური საბჭოს წევრები | მოსწავლეთა თვითმმართველობა;<br>სასკოლო კლუბები;<br>შინაგანაწესი;<br>განხორციელებული პროექტები. | | | | | | | |
| 5.8 | ავტორიზაციის განაცხადის | სკოლი მმართველი გუნდი | ავტორიზაციის სტანდარტის შესაბამისი | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ავტორიზაციის გავლა - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლ ებლო დაწესებულების სტატუსის მოსაპოვებლად. | | კრიტერიუმების დაკმაყოფილება | | | | | | | |
| 5.8 | საერთაშორისო აკრედიტაციის მეორე ეტაპისთვის მზაობა | სკოლი მმართველი გუნდი | აკრედიტაციის სტანდარტის შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილება | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6.1 | სკოლის ინვენტარის აღწერა და შესაბამისი დოკუმენტების შედგენა. | სკოლის ბუღალტერი | ინვენტარიზაციის დოკუმენტები. | | | | | | | |
| 6.2 | სკოლის შენობის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება/გაუმჯობესება საქართველოს განათლების სისტემისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად; | დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილის გამგე | მიღება-ჩაბარების აქტები;<br>ნასყიდობის დოკუმენტები | | | | | | | |
| 6.3 | უსაფრთხოების სამსახურის ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობა | დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე<br>უსაფრთხოების სამსახური | უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშები;<br>უსაფრთხო სკოლის კონცეფცია | | | | | | | |
| 6.4 | ელექტრონული | დირექტორი | ნასყიდობის | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ბიბლიოთეკის კონცეფციის განვითარება და წიგნადი ფონდის სისტემატური განახლება. | ბიბლიოთეკარი ფინანსური მენეჯერი | დამადასტურებელი დოკუმენტაცია. | | | | | | | |

## ნაწილი 8. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის მნიშვნელოვანი ეტაპია სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება, რომლის შედეგები იძლევა საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.
მონიტორინგსა და შეფასებას ყოველწლიურად ახორციელებს **ხარისხის მართვის ჯგუფი .**

**ქართულ-ამერიკულ სკოლაში მონიტორინგის განხორციელება მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს, ესენია:**

- ინფორმაციის შეგროვება: (ამ ეტაპზე მონიტორინგის ჯგუფის მიერ გროვდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ინდიკატორის ველში მითითებული მონაცემები ან დოკუმენტები);
- ინფორმაციის მომზადება ანალიზისთვის: (ამ ეტაპზე ხდება ინფორმაციის სისტემატიზება, სტრუქტურირება);
- ინფორმაციის ანალიზი: (ამ ეტაპზე ხდება მონაცემების ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში);
- დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება, ანგარიშის მომზადება;

- უკუკავშირი/რეაგირება შეფასების შედეგებზე: (ანალიზის შედეგები გვაჩვენებს სტრატეგიული მიზნების მიღწევის და ამოცანების განხორციელების მდგომარეობას;

<u>პრობლემების და მათი, გამომწვევი მიზეზების გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელია ამოცანების, შესრულების მექანიზმების, ვადების, რესურსების ან პასუხისმგებლობის კორექტირება, პრობლემის არსიდან გამომდინარე.</u>

**<u>ინფორმაციის შეგროვების ფორმატი და მეთოდები :</u>**

მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისთვის ხდება ინფორმაციის შეგროვება, რაც ხორციელდება განსაზღვრული ფორმატის და მეთოდების გამოყენებით. ქვემოთ მოცემული ფორმატისა და მეთოდებიდან შეირჩევა ის მეთოდები, რომელიც ჩაითვლება ეფექტურად კონკრეტული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ: მონაცემების შეგროვების ფორმატი შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური.

- ფორმალური ფორმატი ძირითადად გულისხმობს წერითი ფორმით ინფორმაციის შეგროვებას (ანგარიშები,
- დოკუმენტები, სტატისტიკური ინფორმაცია, ოქმები, ანკეტირება და ა.შ.);
- არაფორმალური ფორმატი გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას ზეპირი კომუნიკაციის გზით უშუალო
- გარემოში; მონაცემთა შეგროვების მეთოდებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

**<u>1.ინტერვიუ:</u>** ჯგუფური ან ინდივიდუალური, ფორმატი არაფორმალურია;

**<u>2.ანკეტირება:</u>** ფორმატი ფორმალურია;

**<u>3.ფოკუს-ჯგუფები:</u>** (გულისხმობს ერთი სეგმენტის ფარგლებში პირთა შეზღუდული ჯგუფის მოსაზრების გაგებას გარკვეული საკითხების ირგვლივ მოდერატორის ხელმძღვანელობით).

**კონკრეტული ღონისძიების შესრულების პროცესი მონიტორინგის ჩარჩოს ფარგლებში შეფასდება ხარისხის მართვის ჯგუფის**

მიერ შემდეგი ოთხი კრიტერიუმით/რეიტინგით:

1. სრულად შესრულდა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება სრულად შესრულებულია;
2. უმეტესად შესრულდა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე მეტი სრულად შესრულდა და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა შესასრულებელი;
3. ნაწილობრივ შესრულდა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე ნაკლები შესრულდა და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი;
4. არ შესრულდა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება არ არის შესრულებული.

რაც შეეხება თითოეული ღონისძიების განხორციელების პროცესს, ის გაიზომება შემდეგი ოთხი კრიტერიუმით/სტატუსით:

1. განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი ჯერ არ დაწყებულა;
2. განხორციელების პროცესი მიმდინარეობს - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი მიმდინარეობს;
3. განხორციელების პროცესი შეჩერებულია - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი შეჩერებულია;
4. განხორციელების პროცესი შეწყვეტილია - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი შეწყვეტილია.

- **ანგარიშის წარდგენა:**

წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის ბოლოს, სტრუქტურული ერთეულები მონიტორინგის ჯგუფს წარუდგენენ ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესრულების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით.

- **უკუკავშირი:**

მონიტორინგისა და შეფასების ბოლო ეტაპია უკუკავშირი, რაც ნიშნავს შეფასების შედეგების (დასკვნებისა და რეკომენდაციების) განხილვას დაინტერესებულ პირებთან;

- **შეფასებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს:**

1. სტრატეგიული გეგმის კორექტირება;
2. არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა;
3. მიღებული დასკვნების გათვალისწინება;

4. ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. გეგმის კორექტირება/ ცვლილებების განხორციელება.

<u>**P.S.** სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება გარდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნებისა და რეკომენდაციებისა, შესაძლებელია დირექტორის ინიცირებით, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.</u>

# ნაწილი 9. სამომავლო გეგმები

სკოლა მიზნად ისახავს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციას,სკოლის ცნობადობის გაზრდას ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ასევე საერთაშორისო კავშირების დამყარებას და განვითარებას. ამ მიზნით მემორანდუმები გაფორმდება და ურთიერთობები დამყარდება ევროპისა და აშშ-ს წარმატებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. სკოლა გააგრძელებს უწყვეტი განვითარების პროცესს.

**სკოლა სამომავლოდ გამოთქვამს მზადყოფნას:**

- შესთავაზოს მომხმარებლებს 21-ე საუკუნის უნარებზე მორგებული ხარისხიანი განათლება;
- უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების კმაყოფილების დონე;
- გაზარდოს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციის ყოველდღიური გამოყენება საგაკვეთილო პროცესში;
- გააფართოვოს სასწავლო პროგრამების სპექტრი;
- დახვეწოს მართვის პროცესი;
- შეინარჩუნოს და გაზარდოს სწავლა-სწავლების ხარისხი.

განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე
დამტკიცდება
შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლის
დირექტორის მიერ

ბრძანება №12. 3 ივლისი 2023

/მ.მესხიშვილი/

# სამოქმედო გეგმა

## 2023-2024 სასწავლო წელი

## (ერთწლიანი)

## შესავალი

სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა  წარმოადგენს მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც სკოლის მისიიდან და სკოლის გრძელვადიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნებიდან გამომდინარეობს და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად.

გეგმა ითვალისწინებს აქტივობების აღწერას, ახდენს ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის იდენტიფიკაციას და იძლევა მონიტორინგის განხორციელების საშუალებას.

სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზი მოხდება სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები და დამატებები შევა სკოლის გრძელვადიან სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

## სამოქმედო გეგმის მიმართულებები:

1.პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული განვითარება;

2. სწავლება/ სწავლის ხარისხის ამაღლება;

3.მართვისა და გადაწყვეტილებების სისტემატიზაცია;

4.სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა;

5. საერთაშორისო შედეგებზე ორიენტირების გაზრდა;

6. თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება.

# 1. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება და ორგანიზაციული განვითარება

| N | აქტივობები | შესრულების დრო | | | | | | | | | | | | პასუხისმგებელი პირები | შესრულების ინდიკატორები/მტკიცებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1** | | 2023 | | | | | | 2024 | | | | | | | |
| | | VII | VIII | IX | X | XI | XII | I | II | III | IV | V | VI | | |
| 1.1 | პედაგოგთა საჭიროებების დადგენა და პროფესიული განვითარების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირება. | | | | | | | | | | | | | დირექტორი; ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი; | პროფესიული განვითარებისათვის განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალა/დოკუმენტაცია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ინდივიდუალური ელექტრონული პორტალი<br><br>„მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 მაისის №241 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | |
| 1.2 | ბიბლიოთეკის გამდიდრება პროფესიული /მეთოდური ლიტერატურით/გამოცემები თ, ინტერნეტ რესურსით უზრუნველყოფა. | | | | | | | | | | | | | დირექტორი; დირექტორის მოადგილე; ბიბლიოთეკარი. | პროფესიული /მეთოდური ლიტერატურით/გამოცემები<br><br>ნასყიდობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია<br><br>ინტერნეტ -რესურსების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია |
| 1.3 | სკოლის პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით სხვადასხვა პროგრამებში, პროექტებსა და ტრენინგებში მონაწილეობის ხელშეწყობა | | | | | | | | | | | | | ხარისხის მართვის ჯგუფი;<br>ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი | პროგრამებში; ტრენინგებსა და პროექტებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, ცნობა, რეფლექსია |
| 1.4 | პედაგოგებში კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა (პრაქტიკის კვლევა, სკოლის საჭიროების კვლევა) | | | | | | | | | | | | | ხარისხის მართვის ჯგუფი<br>ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი | კათედრის ანგარიშები<br><br>კვლევის ანგარიშები/ კვლევის გაზიარების რეფლექსია |
| 1.5 | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან | | | | | | | | | | | | | დირექტორი<br>დირექტორის | თანამშრომლობითი |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარება; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობითი მემორანდუმების გაფორმება. | | | | | | | | | | | | | მოადგილე პედაგოგიური საქოს წევრები | მემორანდუმები<br><br>ერთობლივად განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია |
| 1.6 | ადამიანური რესურსების მოძიება, რეზიუმეს გადარჩევა, გასაუბრება, საჩვენებელი გაკვეთილის მომზადება-ჩატარება. | | | | | | | | | | | | | არისხის მართვის ჯგუფი კათედრის ხელმძღვანელები | რეზიუმეების ბანკი; კანონმდებლობითა და სკოლის შინაგანაწესით განხორციელებული კონკურსის ეტაპები |
| 1.7 | სკოლის თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმება | | | | | | | | | | | | | დირექტორი, ადმინისტრაციული მენეჯერი | გაფორმებული ხელშეკრულებები. |

1.1 პედაგოგთა საჭიროებების დადგენისა და პროფესიული განვითარების სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების მიზნით მოხდება მასწავლებლების საჭიროებების რაოდენობრივი კვლევა/ანალიზი ასევე კათედრების ანგარიშების გაანალიზება . აღნიშნული საშუალებას მოგვცემს დავადგინოთ და მიზნობრივად დავგეგმოთ თითოეულ პედაგოგის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებები.იხ. კათედრის სამოქმედო გეგმები კერძოდ: პროფესიული განვითარების სქემის ფარგლებში დაიგეგმება და განხორციელდება, როგორც ძირითადი-სავალდებულო, ისე დამატებითი აქტივობები. აქტიურად წარიმართება გამოცდილების გაზიარების მიზნით გაკვეთილების ერთობლივად დაგეგმვა და დასწრება

კათედრებს შიგნით/ შორის სწავლების ყველა საფეხურზე. ხარისხის ჯგუფის მიერ გაიცემა განმავითარებელი უკუკავშირი , რომელიც დაეხმარება მასწავლებელს პროფესიულ განვითარებასა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში.

1.2 წლის დასაწყისში და პერმანენტულად მოხდება ბიბლიოთეკის გამდიდრება პროფესიული /მეთოდური ლიტერატურით/გამოცემებით, ინტერნეტ რესურსით. სახელმძღვანელოები/რესურსები შეირჩევა კათედრების საჭიროების გათვალისწინებით.

1.3 პედაგოგთა პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ჩართულია მასწავლებელთა პროფესიული განვითრებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. სკოლა ხელს უწყობს პედაგოგებს დროისა და სასწავლო რეჟიმის გათვალისწინებით მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგამებში, საერთაშორისო პროექტებსა და ტრენინგებში.სკოლა ზრუნავს პედაგოგთა აკადემიურ თავისუფლებაზე, პროფესიულ განვითარებაზე. სისტემატურად ჩატარდება საგნობრივი კათედრების ერთობლივი სამუშაო შეხვედრები, სადაც მოხდება სასწავლო პროცესის შემადგენელი ნაწილების ერთობლივად დაგეგმვა, გამოცდილების გაზიარება, დაიგეგმება ერთობლივი პროექტები უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

1.4 პედაგოგებში კვლევითი საქმიანობის (პრაქტიკის კვლევა, სკოლის საჭიროების კვლევა) ხელშეწყობის მიზნით ადგილობრივ ბაზაზე ,სასწავლო წლის განმავლობაში, ხარისხის მართვის ჯგუფის ხელმძღვანელობით გაიმართება შიდასასკოლო სემინარები და კონსულტაციები.

1.5 პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაზიარების მიზნით შპს ქართულ ამერიკული სკოლა.Georgian-American School-სა და შპს ქართულ ამერიკული უმაღლეს სკოლებს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძელზე იგეგმება ერთობლივი ღონისძიებები, როგორც ქვეყნის შიგნით ისე საერთაშორისო მასშტაბით .უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობითი მემორანდუმების საფუძველზე განხორციელდება მასწავლებლობს მსურველ სტუდენტთა კონსულტირება/სტაჟირება.

1.6 მოსწავლეების/კლასების ყოველწლიური მატების გათვალისწინებით სკოლა მოიძიებს ადამიანურ რესურსს . მოხდება რეზიუმეს გადარჩევა, გასაუბრება, საჩვენებელი გაკვეთილის მომზადება-ჩატარება.

1. 7 სექტემბერის დასაწყისში სკოლის თანამშრომლებთან გაფორმდება ერთწლიანი შრომითი ხელშეკრულებები სკოლის შინაგანაწესისა და შრომის კოდექსის გათვალისწინებით.

## 2. სწავლება /სწავლის ხარისხის ამაღლება:

| N | აქტივობები | შესრულების დრო | | | | | | | | | | | | პასუხისმგებელი პირები | შესრულების ინდიკატორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | | 2023 | | | | | | 2024 | | | | | | | |
| | | VII | VIII | IX | X | XI | XII | I | II | III | IV | V | VI | | |
| 2.1. | მოსწავლეთა საჭიროებების კვლევის საფუძველზე საგნობრივი კურიკულუმებისა და სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება. საგნობრივი კურიკულუმების ეტაპობრივად დანერგვა. | | | | | | | | | | | | | პედაგოგიური საბჭოს წევრები<br>საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები | საგნობრივი კურიკულუმები;<br>სადამრიგებლო პროგრამები<br>კათედრის ანგარიშები |
| 2.2. | მოსწავლეთა სწავლის მოტივაციის ამაღლება , განვითარების დინამიკის დადგენა, თანმდევი დამატებითი კონსულტაციების განხორციელება და მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესება | | | | | | | | | | | | | პედაგოგიური საბჭოს წევრები<br>საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები | შედეგების ანალიზი, ანგარიში შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ანალიზი |
| 2.3 | მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, დამატებითი და არაფორმალური განათლების უზრუნველყოფა . | | | | | | | | | | | | | საგნობრივი კათედრები<br>დამრიგებლები<br>სკოლის ექიმი-პედიატრი<br>სკოლის ფსიქოლოგი | სადამრიგებლო პროგრამები<br>სკოლის პედიატრის სამოქმედო გეგმა<br>დამრიგებლის ანგარიშები<br>განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | დოკუმენტაცია/ ანგარიშები |
| 2.4 | საგნობრივი კათედრების სამოქმედო გეგმების შემუშავება და დამტკიცება. | | | | | | | | | | | | | საგნობრივი კათედრები<br>დირექტორი<br>დირექტორის ამოადგილე<br>ხარისხის მართვის ჯგუფი | შემუშავებული სამოქმედო გეგმები |
| 2.5 | სკოლის მოსწავლეების მონაწილეობა შიდა სასკოლო და რესპუბლიკურ კონფერენციებსა და ოლიმპიადებში , შემოქმედებით ღონისძიებებში. | | | | | | | | | | | | | დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე<br>ხარისხის მართვის ჯგუფი<br>პედაგოგიური საჭოს წევრები | მონაწილეობისა და შედეგების ამსახველი მონაცემები, მათი ანალიზი. |
| 2.6 | სკოლის ბიბლიოთეკის ეფექტურად ფუნქციონირების ხელშეწყობა | | | | | | | | | | | | | დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე<br>საგნობრივი კათედრები<br>ბიბლიოთეკარი | მკითხველის ფორმულარები ბიბლიოთეკარის წლიური გეგმა/ანგარიში. |
| 2.7 | მოსწავლეებში ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ტოლერანტობის, გარემოს დაცვის საკითხებისა და პრინციპების განმტკიცების ხელშეწყობა. | | | | | | | | | | | | | პედაგოგიური საბჭოს წევრები<br>დამრიგებლები<br>დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე<br>ხარისხის მართვის ჯგუფი | სადამრიგებლო პროგრამები განხორციელებული პროექტების ანაგრიშები. |
| 2.8 | სწავლების განრიგის და საათობრივი ბადის ; შემუშავება; | | | | | | | | | | | | | სკოლის დირექტორი<br>ხარისხის მართვის ჯგუფი;<br>საგნობრივი კათედრები | საათობრივი ბადე ცხრილი |
| 2.9 | ელექტრონული რესურსების ბანკის შექმნა , მეთოდიკის შემუშავება და დანერგვა | | | | | | | | | | | | | ხარისხის მართვის ჯგუფი<br>ისტ-მენეჯერი<br>საგნობრივი კათედრები | ვიდეო გაკვეთილები პრეზენტაციები;აუდიო ჩანაწერები; ვებინარები სასარგებლო ვებ-ბმულები |

2.1 სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლეთა გამოკითხვის და მათი შედეგების, ასევე კათედრების ანგარიშების ანალიზის საფუძველზე მოხდება საგნობრივი კურიკულუმების, სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება და ეტაპობრივად დანერგვა.

2.2 მოსწავლეებში სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით სასწავლო პროცესში მოიმატებს სახალისო აქტივობები. აკადემიურ ნაწილთან ერთად დიდი ყურადღება მიექცევა არაფორმალურ განათლებას. განვითარების დინამიკის დადგენა მოხდება ყოველწლიური სტატისტიკური ანალიზის შედეგად.

2.3 მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის მიზნით წლის განმავლობაში ჩატარდება პროექტ გაკვეთილები, ლექცია სემინარები სკოლის სამედიცინო ბლოკის ექიმ-პედიატრების მიერ, ასევე ანტინიკოტინური, ანტიალკოჰოლური, ანტინარკოტიკული ღონისძიებები. ტრადიციისამებრ მოეწყობა შეხვედრები ცნობილი სპორტსმენების ჩართულობით.

2.4 სასწავლი წლის დასაწყისში საგნობრივი კათედრები შემუშავებენ და დაამტკიცებენ წლის სამოქმედო გეგმებს. სამოქმედო გეგმები დაეყრდნობა გასული წლის კათედრის ანგარიშების

ანალიზს, რის შემდეგაც  გაიწერება მიმდინარე წლის პრიორიტეტული მიზნები და მათი განხორციელების გზები.

2.5 სწავლა-სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით სკოლა ხელს შეუწყობს მოსწავლეებს შიდა სასკოლო და რესპუბლიკურ კონფერენციებსა და ოლიმპიადებში ,ასევე  შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობაში  .  წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდებიან  სკოლის მიერ დაწესებული გრანტებით. მოსწავლეები მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა ღონისძიებაში: ოლიმპიადები, ტურნირები და ა.შ. სკოლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ნიჭისა და უნარების გამოვლენას, გაიმართება მოსწავლეთა შემოქმედების, სახელობო ნამუშევრების გამოფენები,  ჩატარდება ღია კარის დღე, საჩვენებელი ღონისძიებები, რომლებსაც დაესწრებიან მშობლები.

2.6 სკოლის ბიბლიოთეკარის, დამრიგებლების გეგმაში გაიწერება  ბიბლიოთეკის ეფექტურად ფუნქციონირების ხელშემწყობი აქტივობები.

2.7 მოსწავლეებში ჰუმანიზმის, პატრიოტიზმის, ტოლერანტობის, გარემოს დაცვის საკითხებისა და პრინციპების განმტკიცების მიზნით ჩატარდება პროექტ გაკვეთილები, ღონისძიებები. სადამრიგებლოო საათის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნითა და სკოლის მისიით გათვალისწინებული ღირებულებების განმტკიცებას.

2.9 სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საგნობრივი კათედრები ისტ-მენეჯერთან და ხარისხის მართვის ჯგუფთან ერთად გააგრძელებენ შესაბამისი ონლაინ რესურსების შექმნას, როგორც „დრაფტ“ ვერსიების, შემდგომში დასრულებული გამართული ვიდეო პრეზენტაციების, ვიდეო გაკვეთილების, ელექტრონული რესურსების სახით ; შედგება ვებინარები, რომელშიც გათვალისიწნებული იქნება გამოცდილების გაზიარება და სწავლა/სწავლების პროცესის გაუმჯობესება.

## 3.მართვისა და გადაწყვეტილების სისტემატიზაცია

| N | აქტივობები | შესრულების დრო | | პასუხისმგებელი პირები | შესრულების ინდიკატორები |
|---|---|---|---|---|---|
| 3 | | 2023 | 2024 | | |

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა.

| | | VII | VIII | IX | X | XI | XII | I | II | III | IV | V | VI | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.1 | სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა | | | | | | | | | | | | | პედაგოგიური საბჭოს წევრები<br>საგნობრივი კათედრის ხელმძღვანელები | საგნობრივი პროგრამები/სასწავლო გეგმები<br>სადამრიგებლო პროგრამები<br>კათედრის ანგარიშები |
| 3.2 | სასკოლო სასწავლო გეგმის მიზნების განხორციელება შეფასება და გაუმჯობესება | | | | | | | | | | | | | დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე<br>ხარისხის მართვის ჯგუფი | რაოდენობრივი/თვისებრივი მეთოდიკის გამოყენებით კვლევა<br><br>SWOT ანალიზი |
| 3.3 | სკოლასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ინფორმაციის ელექტრონული ვერსიების შექმნა და დაარქივება | | | | | | | | | | | | | დირექტორი<br>ადმინისტრაციული მენეჯერი | სკოლასთან დაკავშირებული ინფორმაციის დაარქივებული მასალები |
| 3.4 | ფინანსური არქივის კომპიუტერიზაცია. თვიური, კვარტალური და წლიური ბალანსის ელექტრონული ვერსიების შექმნა. | | | | | | | | | | | | | ფინანსური მენეჯერი | ფინანსური არქივის თვიური, კვარტალური და წლიური ბალანსის ელექტრონული ვერსიები. |
| 3.5 | სკოლის ორენოვან ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელზე -FACEBOOK-ზე ინფორმაციის სისტემატიური განახლება | | | | | | | | | | | | | ადმინისტრაციული მენეჯერი; ისტ-მენეჯერი; | დომეინის ფლობის დოკუმენტაცია;<br>ვებგვერდი, სოციალური ქსელში გამოქვეყნებული ინფორმაცია |
| 3.6 | სკოლის ელექტრონული ჟურნალის წარმოება School book | | | | | | | | | | | | | პედაგოგიური საბჭოს წევრები<br>დამრიგებლები | ხელშეკრულება ელექტრონული ჟურნალის ( School book) შემქმნელ |

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა.

| | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | კომპანიასთან. |
| 3.7 | სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა | | | | | | | | | | | | დირექტორი დირექტორის მოადგილე პედაგოგიური საბჭოს წევრები | პროექტების ანგარიშები |

3.1 2011 წლიდან დაიწყო და გრძელდება სკოლის თვითშეფასების მუდმივმოქმედი ციკლის დანერგვა. სკოლა მუდმივად არის ჩართული ახალი მიდგომებისა და იდეების ძიებისა და დანერგვის პროცესში. მუდმივი თვითშეფასება, ცვლილებები და ინოვაციები კი მნიშვნელოვანია სკოლის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად.

3.2 სკოლა გააგრძელებს სასკოლო სასწავლო გეგმის მიზნების განხორციელებას, შეფასებასა და გაუმჯობესებას.

3.3 მართვის სისტემატიზაციის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნება და დაარქივდება სკოლასთან დაკავშირებული ყველა ტიპის ინფორმაციის ელექტრონული ვერსია.

3.4 2013 წლიდან დაიწყო და გაგრძელდება ფინანსური არქივის კომპიუტერიზაცია. თვიური, კვარტალური და წლიური ბალანსის ელექტრონული ვერსიების შექმნა.

3.5 სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ სასკოლო საზოგადოებისა და ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებისათვის სისტემატიურად განახლდება ინფორმაცია სკოლის ორენოვან ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელზე -FACEBOOK-ზე.

3.6 მოსწავლეთა მშობლების ყოველდღიური , როგორც განმსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებებით ინფორმირებისათვის, სასწავლო პროცესის მეტი გამჭირვალეობისათვის, 2014 წლიდან სკოლა იყენებს და კვლავ გააგრძელებს სკოლის ელექტრონული ჟურნალის School book-ის წარმოებას.

3.7 გაგრძელდება სკოლის ორგანიზაციული კულტურის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. სკოლაში იქნება დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა და სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას, ასევე სკოლაში პასუხისმგებლობის გადანაწილებას.

## 4. სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფა და განვითარება, უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს შექმნა

| N | აქტივობები | შესრულების დრო | | | | | | | | | | | | პასუხისმგებელი პირები | შესრულების ინდიკატორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 2023 | | | | | | 2024 | | | | | | | |
| | | VII | VIII | IX | X | XI | XII | I | II | III | IV | V | VI | | |
| 4.1 | სკოლის ინვენტარის აღწერა და შესაბამისი დოკუმენტების შედგენა | | | | | | | | | | | | | ფინანსური მენეჯერი | ინვენტარიზაციის დოკუმენტები. |
| 4.2 | სკოლის არსებული და ახალი შენობის მატერიალურ ტექნიკური ბაზის განახლება/გაუმჯობესება საქართველოს განათლების სისტემისა და საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად; | | | | | | | | | | | | | დირექტორი დირექტორის მოადგილე სამეურნეო ნაწილის გამგე | მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ნასყიდობის დოკუმენტები |
| 4.2 | არსებული სასკოლო ბიბლიოთეკის ახალი სახელმძღვანელოებით, თვალსაჩინოებები საგნობრივი მიმართულებით, სხვა სასწავლო მასალით უზრუნველყოფა. სკოლის ახალ შენობაში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ბიბლიოთეკის მოწყობა. | | | | | | | | | | | | | დირექტორი დირექტორის მოადგილე ბიბლიოთეკარი | სახელმძღვანელოები ნასყიდობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4.3 | სასკოლო სასადილოს განახლება. ინფრასტრუქტურის განახლება. სკოლის ახალი შენობისათვის სასადილოს მოწყობა შესაბამისი რეგულაციების დაცვით. | | | | | | | | | | | | | დირექტორი<br>სამეურნეო ნაწილის გამგე | სკოლის სასადილო შესაბამისი ინვენტარით.<br>ნასყიდობის დოკუმენტები |
| 4.4 | საბაზო საშუალო საფეხურზე ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორიის და პერსონალური კომპიუტერების დამატება. | | | | | | | | | | | | | დირექტორი<br>სამეურნეო ნაწილის გამგე | ნასყიდობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ;<br>ვიზუალური დათვალიერება |
| 4.5 | სამედიცინო კაბინეტის განახლება შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით. სკოლის ახალი შენობაში ექიმის კაბინეტის მოწყობა. | | | | | | | | | | | | | დირექტორი<br>სამეურნეო ნაწილის გამგე<br>ექიმი-პედიატრი | სამედიცინო კაბინეტის ინვენტარი, მედიკამენტები. |
| 4.6 | სკოლის ახალ შენობაში 2020 წლის 6 თებერვლის გაიდლაინის „წყალი, ჰიგიენა და სანიტარია" შესაბამისი საშხაპეების , სველი წერტილების სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული სველი წერტილების მოწყობა. | | | | | | | | | | | | | დირექტორი<br>დირექტორის მოადგილე | ნასყიდობის დოკუმენტაცია<br>ვიზუალური დათვალიერება. |
| 4.7 | სკოლის ტერიტორიის დაცვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა | | | | | | | | | | | | | დირექტორი<br>სამეურნეო ნაწილის გამგე<br>უსაფრთხოების სამსახური | დამონტაჟებული სამეთვალყურეოს , სახანძროს სისტემის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დაცვის შესაბამისი სამსახურის სამსახურებრივი ინსტრუქცია და დაცვის თანამშრომლებთან |

| | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | გაფორმებული ხელშეკრულებები. |

4.1-4.5 სკოლის მატერიალური-ტექნიკური ბაზის სრულყოფისა და განვითარების მიზნით ეტაპობრივად მოხდება სკოლის ინვენტარის აღწერა და შესაბამისი დოკუმენტების შედგენა. სკოლის ახალი და არსებული შენობებისთვის განახლდება ინფრასტრუქტურა თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად. სკოლის ბიბლიოთეკას დაემატება ახალი სახელმძღვანელოები,საგნობრივი მიმართულებით თვალსაჩინოებები, განახლდება სასკოლო სასადილოს ინვენტარი, სკოლა დამატებით შეიძენს პროექტორებს და პერსონალურ კომპიუტერებს. განახლდება საბაზო /საშუალო საფეხურზე ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ლაბორატორია. სამედიცინო კაბინეტი აღიჭურვება შესაბამისი ინვენტარითა და მედიკამენტებით.

4.6 სკოლის ახალ შენობაში , 2020 წლის 6 თებერვლის გაიდლაინის „წყალი, ჰიგიენა და სანიტარია“ შესაბამისი საშხაპეების , სველი წერტილები მოწყობა. სსსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული სველი წერტილები შესაბამისობაში მოვა საგანამანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს მიერ გადმოგზავნილი მოთხოვნებთან.

4.7 კვლავ სკოლის პრიორიტეტად დარჩება სკოლის ტერიტორიის დაცვა და უსაფრთხო გარემოს შექმნა,სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და ექსტრემალურ სიტუაციებში

შპს ქართულ-ამერიკული უმაღლესი სკოლა.

# მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურად ფუნქციონირება.

## 5. საერთაშორისო შედეგებზე ორიენტირების გაზრდა

| N | აქტივობები | შესრულების დრო | | | | | | | | | | | | პასუხისმგებელი პირები | შესრულების ინდიკატორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | | 2023 | | | | | | 2024 | | | | | | | |
| | | VII | VIII | IX | X | XI | XII | I | II | III | IV | V | VI | | |
| 5.1 | კავშირების გაღრმავება-ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება. | | | | | | | | | | | | | დირექტორი, დირექტორის მოადგილე. | ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. |
| 5.2 | გაცვლით პროგრამებში მოსწავლეთა ჩართვა /პროცესის ორგანიზება. | | | | | | | | | | | | | დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები | გაცვლითი პროგრამების ჩამონათვალი. გაცვლით პროგრამაში ჩართული მოსწავლეები. |
| 5. 3 | სკოლის მოსწავლეების მზადება საერთაშორისო კონკურსებისათვის. | | | | | | | | | | | | | საგნობრივი კათედრები | საოლიმპიადო/საკონფერენციო პროგრამები. საკონკურსო მზადების გრაფიკი |
| 5.4 | სკოლის მოსწავლეების მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში. | | | | | | | | | | | | | დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის ჯგუფი, საგნობრივი კათედრები. | მონაწილეობის დამდასტურებელი ფოტო, ვიდეო მასალა. სერტიფიკატები. |

5.1 სკოლა მიმდინარე წლის განმავლობაში აქტიურად იმუშავებს , რომ გრძელვადიანი პერსპექტივის გათვალისწინებით დაამყაროს საერთაშორისო კავშირები და ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმდეს ევროპის უმაღლეს და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

5.2 სკოლა ხელს შეუწყობს გაცვლით პროგრამებში მოსწავლეთა ჩართვას. პროგრამის მიზანია უცხოური ენების სწავლისა და სწავლების ხელშეწყობა. აღნიშნული პროექტი გაზრდის ჩვენი სკოლის მოსწავლეთა ინტერესს გერმანული/ინგლისური/რუსული ენის უკეთ სწავლისადმი და ხელს შეუწყობს გაცვლით პროგრამაში ჩართულ მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. პროგრამის განხორციელება იგეგმება გერმანული ენის მიმართულებით. აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს მრავალწლიანი სტრატეგიის ნაწილს, რაც გულისხმობს საერთაშორისო სივრცეში ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას და მათი ინტეგრირების ხელშეწყობას.

5.3 სკოლის მოსწავლეების მზადება საერთაშორისო კონკურსებისათვის დაიწყება ოქტომბრის თვიდან. მოსწავლეთა შერჩევა მოხდება სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი

პროცედურის შესაბამისად. მოსწავლეებთან იმუშავებენ საგნობრივი კათედრები საოლიმპიადო და საკონფერენციო მიმართულებების შესაბამისად.

5.4 ჩვენი სკოლის მოსწავლეები 2023-2024 სასწავლო წელს მონაწილეობას მიიღებენ შემდეგ საერთაშორისო კონფერენციებსა და ოლიმპიადებში: IJSO (დეკემბერი ); I-FEST (მარტი ) ; ICYS ( აპრილი ); Intel Isef ( მაისი ) ; OKSEF- ( ივნისი)

## 6.თანამედროვე ტექნოლოგიების მზარდი გამოყენება

| N | აქტივობები | შესრულების დრო | | | | | | | | | | | | პასუხისმგებელი პირები | შესრულების ინდიკატორები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | | 2023 | | | | | | 2024 | | | | | | | |
| | | VII | VIII | IX | X | XI | XII | I | II | III | IV | V | VI | | |
| 6.1 | პროგრამირების წრის შექმნა/ფუნქციონირება. | | | | | | | | | | | | | დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის ჯგუფი, მათემატიკის კათედრა. | საწრეო პროგრამა და წრის ჩატარების გრაფიკი. |
| 6.2 | ვირტუალური და ნახევრად ვირტუალური ლაბორატორიების გამოყენება საბუნებისმეტყველო საგნების სწავლებისას. | | | | | | | | | | | | | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა. | შპს „ჯი ეს ინტეგრატორისგან" ვირტუალური ლაბორატორიის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| 6.3 | პროექტებით სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიების აქტიური გამოყენებით. | | | | | | | | | | | | | საგნობრივი კათედრები | განხორციელებული პროექტების დამადასტურებელი ვიზუალური და დოკუმენტური მასალა. |
| 6.4 | Schoolbook- ელექტრონული ჟურნალის ონლაინ გაკვეთილების ველის ამუშავება. | | | | | | | | | | | | | | დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |

6.1 სკოლაში თანამედროვე ტექნოლოგიების როლის გაზრდისა და პრაქტიკაში გამოყენების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნება პროგრამირების წრე.საწყის ეტაპზე წრეობრივი მომსახურების შეთავაზება მოხდება მე-5; მე-6; კლასის მოსწავლეებისათვის. მიღებული შედებიდან გამომდინარე მომდევნო ეტაპზე დაიგეგმება კლასების დამატება.

6.2 ვირტუალური და ნახევრად ვირტუალური ლაბორატორიების აქტიურად გამოყენება სასწავლო პროცესში, მასწავლებლებს სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების უკეთ მიღწევაში დაეხმარება. კერძოდ, გაზრდის მოსწავლეთა მოტივაციას, ხელს შეუწყობს ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებით მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო საგნებისათვის საჭირო კვლევითი უნარ ჩვევების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ასევე დაეხმარება მათ ცნებების უკეთ გააზრებაში.

6.3 სკოლაში გახშირდება პროექტებით სწავლება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. აღნიშნული ორიენტირებული იქნება 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებზე, ისეთი როგორიცაა: შემოქმედებითობა, კრიტიკული აზროვნება და პრობლემის გადაჭრა, კომუნიკაცია და თანამშრომლობა, საინფორმაციო წიგნიერება, ინფორმაციასთან მუშაობის კულტურა (რომელიც ითვალისწინებს ინფორმაციის მიღებას, აღქმას, გადაცემას, დამუშავებას, ანალიზს, გადარჩევას, ახალი ინფორმაციის შექმნას, შენახვას, შევსებას).

6.4 დამატებითი ან/და შინ სწავლების საჭიროების შემთხვევაში სკოლა მოიხმარს Schoolbook-ელექტრონულ ჟურნალს და მის ონლაინ გაკვეთილების ველს.

# სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიული დაგეგმვის ციკლის მნიშვნელოვანი ეტაპია სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური მონიტორინგი და შეფასება, რომლის შედეგები იძლევა საქმიანობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

მონიტორინგსა და შეფასებას ყოველწლიურად ახორციელებს ხარისხის მართვის ჯგუფი .

**ქართულ-ამერიკულ სკოლაში მონიტორინგის განხორციელება მოიცავს ხუთ ძირითად ეტაპს, ესენია:**

1. ინფორმაციის შეგროვება: (ამ ეტაპზე მონიტორინგის ჯგუფის მიერ გროვდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ინდიკატორის ველში მითითებული მონაცემები ან დოკუმენტები);
2. ინფორმაციის მომზადება ანალიზისთვის: (ამ ეტაპზე ხდება ინფორმაციის სისტემატიზება, სტრუქტურირება);
3. ინფორმაციის ანალიზი: (ამ ეტაპზე ხდება მონაცემების ანალიზი შესრულების ინდიკატორთან მიმართებაში);

4. დასკვნების და რეკომენდაციების შემუშავება, ანგარიშის მომზადება;
5. უკუკავშირი/რეაგირება შეფასების შედეგებზე: (ანალიზის შედეგები გვაჩვენებს სტრატეგიული მიზნების მიღწევის და ამოცანების განხორციელების მდგომარეობას;

*პრობლემების და მათი, გამომწვევი მიზეზების გამოვლენის შემთხვევაში, აუცილებელია ამოცანების, შესრულების მექანიზმების, ვადების, რესურსების ან პასუხისმგებლობის კორექტირება, პრობლემის არსიდან გამომდინარე.*

ინფორმაციის შეგროვების ფორმატი და მეთოდები :

მონიტორინგისა და შეფასების მიზნებისთვის ხდება ინფორმაციის შეგროვება, რაც ხორციელდება

განსაზღვრული ფორმატის და მეთოდების გამოყენებით. ქვემოთ მოცემული ფორმატისა და მეთოდებიდან შეირჩევა ის მეთოდები, რომელიც ჩაითვლება ეფექტურად კონკრეტული კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კერძოდ:

მონაცემების შეგროვების ფორმატი შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური.

- ფორმალური ფორმატი ძირითადად გულისხმობს წერითი ფორმით ინფორმაციის შეგროვებას (ანგარიშები, დოკუმენტები, სტატისტიკური ინფორმაცია, ოქმები, ანკეტირება და ა.შ.);
- არაფორმალური ფორმატი გულისხმობს ინფორმაციის შეგროვებას ზეპირი კომუნიკაციის გზით უშუალო

გარემოში; მონაცემთა შეგროვების მეთოდებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

1.ინტერვიუ: ჯგუფური ან ინდივიდუალური, ფორმატი არაფორმალურია;

2.ანკეტირება: ფორმატი ფორმალურია;

3.ფოკუს-ჯგუფები: (გულისხმობს ერთი სეგმენტის ფარგლებში პირთა შეზღუდული ჯგუფის მოსაზრების გაგებას გარკვეული საკითხების ირგვლივ მოდერატორის ხელმძღვანელობით).

კონკრეტული ღონისძიების შესრულების პროცესი მონიტორინგის ჩარჩოს ფარგლებში შეფასდება ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ შემდეგი ოთხი კრიტერიუმით/რეიტინგით:

1. სრულად შესრულდა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება სრულად შესრულებულია;

2. უმეტესად შესრულდა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე მეტი სრულად შესრულდა და მხოლოდ მცირე ნაწილი დარჩა შესასრულებელი;

3. ნაწილობრივ შესრულდა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების ნახევარზე ნაკლები შესრულდა და უმეტესი ნაწილი დარჩა შესასრულებელი;

4. არ შესრულდა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიება არ არის შესრულებული.

რაც შეეხება თითოეული ღონისძიების განხორციელების პროცესს, ის გაიზომება შემდეგი ხუთი კრიტერიუმით/სტატუსით:

1. განხორციელების პროცესი ჯერ არ დაწყებულა - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების
2. პროცესი ჯერ არ დაწყებულა;
3. განხორციელების პროცესი მიმდინარეობს - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი მიმდინარეობს;
4. განხორციელების პროცესი შეჩერებულია - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი შეჩერებულია;
5. განხორციელების პროცესი შეწყვეტილია - სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების პროცესი შეწყვეტილია.

**ანგარიშის წარდგენა:**

წელიწადში ერთხელ, კალენდარული წლის ბოლოს, სტრუქტურული ერთეულები მონიტორინგის ჯგუფს

წარუდგენენ ანგარიშს სტრატეგიული განვითარებისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის შესრულების ძირითადი ინდიკატორების მიხედვით.

**უკუკავშირი:**

მონიტორინგისა და შეფასების ბოლო ეტაპია უკუკავშირი, რაც ნიშნავს შეფასების შედეგების (დასკვნებისა და რეკომენდაციების) განხილვას დაინტერესებულ პირებთან;

შეფასებას შეიძლება შედეგად მოჰყვეს:

1. სტრატეგიული გეგმის კორექტირება;
2. არსებული დაბრკოლებების აღმოფხვრა;
3. მიღებული დასკვნების გათვალისწინება;
4. ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავება. გეგმის კორექტირება/ ცვლილებების განხორციელება.

P.S. სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების განხორციელება გარდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნებისა და რეკომენდაციებისა, შესაძლებელია დირექტორის ინიცირებით, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.